საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-142

ქ.თბილისი „01“ 09 2011წ“

შპს “ბელ-ბაუ”-ს ასფალტის საწარმოს განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№20; 31.08.2011წ) შპს “ბელ-ბაუ”-ს ასფალტის საწარმოს განთავსებაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს “ბელ-ბაუ”-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№20; 31.08.2011წ) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს შპს “ბელ-ბაუ”-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს “ბელ-ბაუ”-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს-ს წერილი №1473; 17.08.2011წ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№20; 31.08.2011წ) და ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტს, შპს "ბელ-ბაუ"-სა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.